

შპს „გუდაური ლოჯი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შინაარსი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	6
2. მომზადების საფუძველი.....	6
3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	8
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	11
5. ამონაგები	12
6. უძრავი ქონების ექსპლუატაციის ხარჯი	12
7. საინვესტიციო ქონება	12
8. ფინანსური ინსტრუმენტები	14
9. საკუთარი კაპიტალი	17
10. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები	18

სრული შემოსავლის ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2023	2022
საიჯარო შემოსავალი	5	2,186	2510
ქონების საოპერაციო ხარჯები	6	(310)	(345)
წმინდა საიჯარო შემოსავალი		1,876	2,165
საინვესტიციო ქონების გადაფასების შედეგად მიღებული წმინდა ზარალი	7	(152)	(6,787)
წმინდა ზარალი გადაფასებიდან		(152)	(6,787)
სხვა შემოსავალი		102	-
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(40)	(31)
საოპერაციო მოგება (ზარალი)		1,785	(4,653)
ფინანსური ხარჯები		(1,294)	(3,723)
ფინანსური შემოსავალი		66	111
წმინდა საკურსო ზარალი/შემოსავალი		(654)	5,185
შემოსულობა ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტიდან	8	422	-
ხარჯი ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტიდან	8	(1,409)	-
ზარალი მოგების გადასახადის ხარჯამდე		(1,083)	(3,080)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		(1,083)	(3,080)

ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ:
დირექტორი

1 ოქტომბერი, 2024 წ.

გივი კობერიძე



Handwritten signature in blue ink.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ავანსები და სხვა გრძელვადიანი აქტივები		60	92	-
ძირითადი საშუალებები		133	29	-
საინვესტიციო ქონება	7	30,942	31,086	37,946
		31,135	31,207	37,946
მიმდინარე აქტივები				
ავანსები და სხვა აქტივები		-	-	130
გაცემული მოკლევადიანი სესხები	8	318	1,361	-
ვადიანი დეპოზიტები საკრედიტო დაწესებულებებში	8	-	52	63
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		158	152	802
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	8	37	5	238
		513	1,570	1,233
სულ აქტივები		31,648	32,777	39,179
საკუთარი კაპიტალი	10			
საწესდებო კაპიტალი		29,393	27,385	26,044
დამატებით შეტანილი კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება (დაგროვილი ზარალი)		(20,351)	(19,267)	(16,187)
სავალუტო და სხვა რეზერვები		-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		9,042	8,118	9,875
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	8	19,239	20,500	22,818
		19,239	20,500	22,818
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება		20	9	77
მიღებული სესხები	8	3,317	4,065	6,048
სხვა ვალდებულებები		29	85	379
		3,366	4,159	6,504
სულ ვალდებულებები		22,605	24,659	29,322
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		31,648	32,777	39,179

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სავალუტო და სხვა რეზერვი	სულ ინვესტირებული კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით	26,044	-	(16,187)	-	9,857
წმინდა მოგება	-	-	(3,080)	-	(3,080)
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	-
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	-	(3,080)	-	(3,080)
საწესდებო კაპიტალის შემცირება (მე-16 შენიშვნა)	(2,220)	-	-	-	(2,220)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა (მე-16 შენიშვნა)	3,561	-	-	-	3,561
2022 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით	27,385	-	(19,267)	-	8,118
წლის ზარალი	-	-	(1,083)	-	(1,083)
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	-	(1,083)	-	(1,083)
საწესდებო კაპიტალის შემცირება (მე-16 შენიშვნა)	(990)	-	-	-	(990)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა (მე-16 შენიშვნა)	2,998	-	-	-	2,998
2023 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით	29,393	-	(20,350)	-	9,043

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
საოპერაციო ხარჯებში გადახდილი ფულადი სახსრები		(14)	(20)
მოგების გადასახადის გარდა გადახდილი სხვა გადასახადები		(753)	(759)
სხვა საოპერაციო ხარჯებში გადახდილი ფულადი ნაკადები		2,569	3,165
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული სხვა ფულადი ნაკადები		4	337
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		1,806	2,723
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
კაპიტალური დანახარჯები საინვესტიციო ქონებაზე		-	(364)
ძირითადი საშუალების შესყიდვა		-	(35)
წმინდა გადატანები ვადიან ანაზღაურებზე		52	11
დღგ-ს დაბრუნება		-	199
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული (გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		52	(189)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ნასესხები სახსრების დაფარვა		(1,569)	(1,608)
გადახდილი პროცენტი		(1,937)	(1,632)
წმინდა გაცემული/მიღებული შიდაჯგუფური სესხები		(300)	(843)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა		2,999	3,561
საწესდებო კაპიტალის შემცირება		(990)	(2,220)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული (გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		(1,797)	(2,742)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(29)	(25)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)		32	(233)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		5	238
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს		37	5

(ათას ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გუდაური ლოჯი“ („კომპანია“ სარეგისტრაციო ნომრით 402084221) დაფუძნდა 2018 წლის 24 აპრილს. კომპანიის ამჟამინდელი იურიდიული მისამართია დავით აღმაშენებლის გამზ. 80, თბილისი, საქართველო. მშობელი კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულება არის საინვესტიციო ქონების მართვა. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მშობელი საწარმოს საბოლოო მშობელი კომპანია არის დიდ ბრიტანეთში დაფუძნებული საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს კაპიტალი“, რომლის აქციები განთავსებულია პრემიუმ ლისტინგში ლონდონის საფონდო ბირჟაზე.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადდა პირვანდელი ღირებულების მეთოდით, გარდა საინვესტიციო ქონების შეფასებისა, რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება პირველი ანგარიშგებაა, რომელიც კომპანიამ ფასს-ის მიხედვით მოამზადა. კომპანიას აქამდე არ მოუმზადებია ფინანსური ანგარიშგება. კომპანიას არ გამოუყენებია ნებაყოფლობითი გათავისუფლების უფლება, რომლებსაც ფასს (IFRS) 1 („ფასს სტანდარტის პირველად მიღება“) განსაზღვრავს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში („ლარი“), თუ სხვა ვალუტა არ არის მითითებული.

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

უკრაინაში ომის გავლენა

უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად მერყეობს, ასევე დაეცა რუსეთში ფასიანი ქაღალდების ღირებულება. იგივე შეეხო სხვა ბაზრებზე რეგისტრირებული რუსული კომპანიების ფასიან ქაღალდებსაც. სიტუაცია ჯერ კიდევ იცვლება, მაგრამ ჰუმანიტარული კრიზისი უკვე დამდგარია და უკრაინამ, რუსეთმა და დანარჩენმა მსოფლიომ უკვე განიცადეს უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. მოსალოდნელია, რომ ომს მნიშვნელოვანი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე. 2022 წელს ქართული ლარი მნიშვნელოვნად გამყარდა უცხოურ ვალუტებთან მიმართებით, რისი ერთ-ერთი მიზეზიც, სხვებთან ერთად, იყო საქართველოში შემოსული რუსი და უკრაინელი მოქალაქეების მხრიდან უცხოურ ვალუტაში გადარიცხვების მნიშვნელოვანი ზრდა; გარდა ამისა, საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასები საქართველოში 2022-2023 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა, მასზე მოთხოვნის გაზრდის პარალელურად. ვინაიდან ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, რთულია კომპანიის საქმიანობაზე მისი საბოლოო გავლენის სარწმუნოდ შეფასება, რადგან გაურკვეველია ეკონომიკაზე მისი გავლენის მასშტაბი. კომპანიის ხელმძღვანელობა თვალს ადევნებს შექმნილი ვითარებით გამოწვეულ ცვლილებებს ეკონომიკაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

შპს „გუდაური ლოჯის“ საქმიანობა არის საინვესტიციო ქონების მართვა. მის მფლობელობაში არსებულ საინვესტიციო ქონებას წარმოადგენს ოპერირებადი სასტუმრო „გუდაური ლოჯი“, 121 ოთახიანი მაღალი კლასის სასტუმრო, რომელიც 2019 წლის დეკემბერში გაიხსნა და ყოველწლიურად კარგი საოპერაციო შედეგებით გამოირჩევა, საიდანაც შპს „გუდაური ლოჯი“ იღებს ყოველწლიურად საიჯარო შემოსავალს. ასევე, შპს „გუდაური ლოჯის“ საინვესტიციო ქონების, გუდაურის სასტუმროს, სამართლიანი ღირებულება, რომელიც კომპანიის სესხის (სასტუმროსთვის აღებული) უზრუნველყოფას წარმოადგენს, მნიშვნელოვნად აღემატება სესხის მოცულობას. შესაბამისად, ნებისმიერ შემთხვევაში, არსებობს შესაძლებლობა სასტუმროს გაყიდვის შემთხვევაში, კომპანიის არსებული ვალდებულებების სრულად დაფარვისთვის.

ჯგუფის ხელმძღვანელობამ ჩატარებული საპროგნოზო შეფასების საფუძველზე დაასკვნა, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არ არსებობს ჯგუფის უნართან დაკავშირებით, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

(ათას ლარში)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა**სამუშაო, წარსადგენი ვალუტები და უცხოური ვალუტის გადაყვანა**

კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ქართული ლარი („ლარი“).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ანგარიშგების შესაბამისი პერიოდის ბოლოსთვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი გარიგებების ანგარიშსწორებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების თითოეული კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაყვანის შედეგად სეზ-ის წლის ბოლოსთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აისახება მოგებაში ან ზარალში.

სხვაობა გარკვეული გარიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სავალუტო კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის („სეზ“) სავალუტო კურსს შორის ოპერაციის დღეს ასახულია საკურსო სხვაობით განპირობებულ წმინდა შემოსულობაში/(ზარალში). სეზ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად, იყო 2.6894, 2.702 და 3.0976 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებით.

ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

ქვემოთ ჩამოთვლილ სტანდარტებს/ინტერპრეტაციებს, რომლებიც კომპანიის საქმიანობისთვის აქტუალურია და 2023 წელს შევიდა ძალაში, გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან საქმიანობის შედეგებზე:

- ▶ ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“,
- ▶ „სააღრიცხვო შეფასებების განმარტება“ – ბასს (IAS) 8-ის შესწორებები,
- ▶ ერთი გარიგებიდან წარმომდგარ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი – ცვლილებები ბასს (IAS) 12-ში,
- ▶ საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – პილარ 2-ის სანიმუშო წესები - ბასს (IAS) 12-ის ცვლილება,
- ▶ სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები – შესწორებები ბასს (IAS) 1-სა და ფასს-ის (IFRS) მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში.

ცვლილებები ბასს 1-ში და ფასს-ის მე-2 პრაქტიკული რეკომენდაცია „არსებითობის განსჯა“ შეიცავს მითითებებსა და მაგალითებს, რათა დაეხმაროს საწარმოებს სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებების არსებითობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში. შესწორებების მიზანია საწარმოებს დაეხმაროს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ უფრო სასარგებლო განმარტებით შენიშვნების წარმოდგენაში, რისთვისაც, საწარმოებისადმი მოთხოვნა, რომ განაცხადონ „მნიშვნელოვანი“ სააღრიცხვო პოლიტიკა, ჩანაცვლდა მოთხოვნით, რომ განაცხადონ თავიანთი „არსებითი“ სააღრიცხვო პოლიტიკა და დაემატა ინსტრუქცია იმის შეახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ საწარმოებმა არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენასთან დაკავშირებით.

კომპანიამ გადახედა ამ შენიშვნაში გამჟღავნებულ ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გადახედილი არსებითი ინფორმაცია, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ მიუსადაგა კომპანიამ ფასს-ის მოთხოვნები თავის გარემოებებს და ძირითადად მოიცავს იმ მუხლებს, სადაც კომპანიამ არჩია ფასს-ის მიერ დაშვებული ვარიანტებიდან მინიმუმ ერთი სააღრიცხვო პოლიტიკა, მუხლებს, რომლებიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული განსჯაზე ან შეფასებებზე და არ მოიცავს ინფორმაციას, რომელიც მხოლოდ იმეორებს ან აჯამებს ფასს-ის მოთხოვნებს, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკებს არაარსებითი საკითხების შესახებ.

ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე და აგრძელებს მათი მოსალოდნელი მიღების გავლენის შეფასებას თავის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში: ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

(ათას ლარში)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)**ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)**

2020 წლის იანვარში და 2022 წლის ოქტომბერში ბასს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ 69-76 მუხლებში, რომლებიც აკონკრეტებს ვალდებულებების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიცირების წესებს. ცვლილებები განმარტავს:

- რა იგულისხმება ანგარიშსწორების გადავადების უფლებაში,
- რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს,
- რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის ალბათობა, გამოიყენებს თუ არა საწარმო გადავადების უფლებას,
- რომ თუ კონვერტირებად ვალდებულებაში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი თავად წარმოადგენს წილობრივ ინსტრუმენტს, მხოლოდ ამ შემთხვევაში არ იმოქმედებს ვალდებულების პირობები მის კლასიფიკაციაზე.

გარდა ამისა, ახალი მოთხოვნის მიხედვით, საჭიროა ინფორმაციის გამჟღავნება, როდესაც სასესხო ხელშეკრულებიდან წარმომდგარი ვალდებულება გრძელვადიანად კლასიფიცირდება და საწარმოს უფლება, გადავადოს სესხის დაფარვა დამოკიდებულია თორმეტი თვის განმავლობაში სამომავლო პირობების შესრულებაზე.

ცვლილებები ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და მათი გამოყენება უნდა მოხდეს რეტროსპექტიულად. კომპანია ამ ეტაპზე აფასებს ცვლილებების ეფექტს თავის მიმდინარე პრაქტიკაზე და იმას, არსებული სესხები საჭიროებს თუ არა რესტრუქტურზაციას.

- ფინანსური გარიგებები მომწოდებლებთან – ცვლილებები ბასს (IAS) 7-ში და ფასს (IFRS) 7-ში.

ამონაგების აღიარება

ამონაგების აღიარება ხდება იმისათვის, რომ ასახოს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემა იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოელის ამ საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ. საქონელი ან მომსახურება გადაცემულად ითვლება მაშინ, როდესაც მომხმარებელი მოიპოვებს მასზე კონტროლს. კომპანიამ დაასკვნა, რომ ამონაგებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის მარწმუნებლის სახით, რადგან იგი ძირითადი მოვალეა ყველა ასეთ გარიგებაში, აქვს ფასდადების მხრივ თავისუფლება და ატარებს მარაგების გაუფასურებისა და საკრედიტო რისკებს.

ამონაგების აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

საიჯარო შემოსავალი

კომპანია საიჯარო ურთიერთობაში გამოდის მეიჯარედ. საინვესტიციო ქონების ჩვეულებრივი იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადებზე. თუ საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება ისე მოდიფიცირდება, რომ შეიცვლება სამომავლო საიჯარო გადახდები, მოდიფიცირებული გადახდები მოგებაში ან ზარალში დარიცხვის წრფივი მეთოდით აისახება იჯარის დარჩენილი ვადის განმავლობაში, როგორც საიჯარო შემოსავალი.

ფინანსური შემოსავალი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებზე ფინანსური შემოსავლის აღიარება ხდება მისი დარიცხვისას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსურ შემოსავალში ასევე შედის წმინდა შემოსულობა (როგორცაა პირობითი პროცენტი) სესხებზე, რომელიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში (მე-9 შენიშვნა). მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც ანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

(ათას ლარში)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)**გადასახადები (გაგრძელება)**

დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადის ვალდებულება აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ასეთი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აისახება, როგორც საოპერაციო გადასახადები ინდივიდუალურ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები შესულია ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების შემდეგი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

	წლები
შენობები	50
ავეჯი და მოწყობილობები	5–10
კომპიუტერული ტექნიკა და სხვა საოფისე აღჭურვილობა	5
მძიმე სამშენებლო ტექნიკა	5
სატრანსპორტო საშუალებები	5

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში, თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

საიჯარო ქონების გაუმჯობესებების ამორტიზაცია ხდება შესაბამისი საიჯარო აქტივის მთლიანი ვადის განმავლობაში, ან იჯარის მოსალოდნელ ვადაზე, თუ ეს უკანასკნელი უფრო ხანმოკლეა.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები მაშინ კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც გადახდილი ავანსებთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება ერთი წლის შემდეგაა მოსალოდნელი ან მაშინ, როდესაც გადახდილი ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც, საწყისი აღიარებისას, თვითონ იქნება კლასიფიცირებული გრძელვადიანად. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როგორც კი კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და მოელის აქტივიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

(ათას ლარში)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია საკუთარ კაპიტალად. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარე ხარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციებისა, აღრიცხულია საკუთარი კაპიტალის შემოსულობიდან გამოქვითვების სახით. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე დამატებით მიღებული ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ყოველგვარი ნამეტის აღიარება ხდება საემისიო შემოსავლის სახით.

პრივილეგირებული აქციები

პრივილეგირებული აქციები საკუთარ კაპიტალად არის კლასიფიცირებული. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე დამატებით მიღებული ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ყოველგვარი ნამეტის აღიარება ხდება საემისიო შემოსავლის სახით.

აქტივების შენატანები

მშობელ საწარმოს ან საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებს კომპანიის აქციების სანაცვლოდ ზოგჯერ აქტივები შეაქვთ კომპანიის კაპიტალში. კომპანია მიღებულ აქტივებს და კაპიტალის შესაბამისად ზრდას აფასებს მიღებული აქტივების სამართლიანი ღირებულებით. კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ განსჯას, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი ამონაგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე საანგარიშგებო თარიღით. თუმცა ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ განსჯას, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი ამონაგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე საანგარიშგებო თარიღით. თუმცა ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

(ათას ლარში)

5. ამონაგები

	2023	2022
საიჯარო შემოსავალი	2,186	2,510
სულ საიჯარო შემოსავალი	2,186	2,510

კომპანიის იჯარა აშშ დოლარშია განფასებული, ხოლო ვადა არის 10 წელი, 2033 წლის 31 დეკემბრამდე.

6. უძრავი ქონების ექსპლუატაციის ხარჯი

	2023	2022
ქონების გადასახადი	310	345
სულ უძრავი ქონების ექსპლუატაციის ხარჯი	310	345

7. საინვესტიციო ქონება

ცხრილში მოცემულია საინვესტიციო ქონების მოძრაობა:

<i>საინვესტიციო ქონება</i>	<i>სასტუმრო</i>	<i>სულ</i>
2022 წლის 1 იანვარს	37,946	37,946
შესყიდვები	307	307
წმინდა ზარალი გადაფასებიდან	(7,167)	(7,167)
2022 წლის 31 დეკემბერს	31,086	31,086
შესყიდვები	8	8
წმინდა ზარალი გადაფასებიდან	(152)	(152)
2023 წლის 31 დეკემბერს	30,942	30,942

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეფასება

საინვესტიციო ქონება სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის შემდგარი ჩვეულებრივი გარიგების პირობებში. საინვესტიციო ქონების შეფასება ხელმძღვანელობამ ჩაატარა 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით (2021 წ.: შეფასება ჩაატარა აკრედიტებულმა დამოუკიდებელმა შემფასებელმა, რომელსაც აქვს აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და ასევე აქვს გამოცდილება შესაფასებელი საინვესტიციო ქონების ანალოგიური კატეგორიისა და ადგილმდებარეობის ქონების შეფასებაში.) გამოყენებულია შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ რეკომენდებული შეფასების მოდელები და შეფასება შეესაბამება ფასს 13-ის პრინციპებს. საინვესტიციო ქონების შეფასება მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მესამე დონეს.

(ათას ლარში)

7. საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)**საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)**

საინვესტიციო ქონების შესაფასებლად გამოყენებულია საბაზრო შედარებითი და შემოსავლის მეთოდები.

საბაზრო მეთოდი

ეს მეთოდი გულისხმობს შეფასების ობიექტის პირდაპირ შედარებას სხვა ობიექტთან, რომელიც გაიყიდა ან აღრიცხულია გაყიდვის რეესტრში. ღირებულებაში კორექტირებები შედის შეფასების საგნის მდგომარეობისა და მდებარეობის შედარებად ობიექტებისგან განსხვავებების საფუძველზე.

შემოსავლის მეთოდი

შემოსავლის მეთოდი არის შეფასების მეთოდი, რომელსაც შემფასებლები და უძრავი ქონების ინვესტორები იყენებენ შემოსავლის მომტანი უძრავი ქონების შეფასებისას. იგი ეყრდნობა მოლოდინის წინაპირობას, ანუ მოსალოდნელ სამომავლო სარგებელს. ამ მეთოდის თანახმად, ქონების ღირებულება ფასდება იმის მიხედვით, თუ სავარაუდოდ რა შემოსავლის წარმოქმნა შეუძლია ქონებას. შემოსავლის კაპიტალიზაცია მოსალოდნელ ფულად ნაკადებს გარდაქმნის დღევანდელ ღირებულებად, ბაზრით განსაზღვრული „კაპიტალიზაციის ნორმით“ წმინდა საოპერაციო შემოსავლის „კაპიტალიზაციის“ გზით. კაპიტალიზაციის ნორმა წარმოადგენს ინვესტიციაზე უკუგების კოეფიციენტს. მას იყენებენ უძრავი ქონების ინვესტორები, როგორც საბაზრო მონაცემს იმისათვის, რომ განსაზღვრონ, რამდენი უნდა გადაიხადონ უძრავ ქონებაში.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია შეფასებაში გამოყენებული მნიშვნელოვანი არასაბაზრო ამოსავალი მონაცემების აღწერა და მათ მიმართ მგრძნობელობა 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1 იანვრისთვის:

<i>საინვესტიციო უძრავი ქონების კლასი</i>	<i>სამართლიანი ღირებულება 2023წ.</i>	<i>შეფასების მეთოდი</i>	<i>მნიშვნელოვანი არასაბაზრო ამოსავალი მონაცემები</i>	<i>დიაპაზონი (საშუალო შეწონილი)</i>
სასტუმრო	30,942	შემოსავლის მეთოდი	საშუალო დღიური ტარიფი (აშშ დოლარი)	73 – 100 (87)
			კაპიტალიზაციის ნორმა დაკავებულობის მაჩვენებელი	9.2-10.2 (10%) 60% - 70% (65%)
სულ	30,942			

<i>საინვესტიციო უძრავი ქონების კლასი</i>	<i>სამართლიანი ღირებულება 2022წ.</i>	<i>შეფასების მეთოდი</i>	<i>მნიშვნელოვანი არასაბაზრო ამოსავალი მონაცემები</i>	<i>დიაპაზონი (საშუალო შეწონილი)</i>
სასტუმრო	31,086	შემოსავლის მეთოდი	საშუალო დღიური ტარიფი (აშშ დოლარი)	56-105(88)
			კაპიტალიზაციის ნორმა დაკავებულობის მაჩვენებელი	9-10 (10%) 50% - 70% (61%)
სულ	31,086			

(ათას ლარში)

7. საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

საინვესტიციო უძრავი ქონების კლასი	სამართლიანი ღირებულება 1 იანვარი 2022წ.	შეფასების მეთოდი	მნიშვნელოვანი არასაბაზრო ამოსავალი მონაცემები	დიაპაზონი (საშუალო შეწონილი)
სასტუმრო	37,946	შემოსავლის მეთოდი	საშუალო დღიური ტარიფი (აშშ დოლარი)	73-100 (87)
			კაპიტალიზაციის ნორმა	9.2%-10.2% (10%)
			კაპიტალიზაციის ნორმა	60%-70% (65%)
სულ	37,946			

1 კვ. მ. იჯარის ღირებულების გაზრდა (შემცირება), კაპიტალიზაციის განაკვეთის შემცირება (გაზრდა), საშუალო დღიური განაკვეთის და დატვირთვის მაჩვენებლის გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა სამართლიანი ღირებულების გაზრდას (შემცირებას).

8. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების მიმოხილვა

მიღებული სესხები

	ვალუტა	ვადა	31 დეკემბერი, 2023 წ.	31 დეკემბერი, 2022 წ.	1 იანვარი 2022 წ.
სესხები საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირებისგან	ლარი	მაისი 2024	-	271	-
ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან მიღებული სესხები	ევრო	ივნისი 2033	22,560	24,150	28,866
მშობელი საწარმოსგან მიღებული სესხები	აშშ დოლარი	მაისი 2024	-	146	-
სულ მიღებული სესხები			22,560	24,567	28,866
მოკლევადიანი ნაწილი			3,317	4,065	6,048
გრძელვადიანი ნაწილი			19,243	20,502	22,818

(ათას ლარში)

8. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**ფინანსური ინსტრუმენტების მიმოხილვა (გაგრძელება)**

ცვლილებები ფინანსური საქმიანობით გამოწვეულ ვალდებულებებში 2023 წლის განმავლობაში:

	1 იანვარი, 2023 წ.	ფულადი სახსრების შემოდინება	ფულადი ნაკადების გადინება	სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკა	დარიცხული პროცენტის ცვლილება	ვალის პატიება	სხვა ცვლილებები	31 დეკემბერი, 2023 წ.
მიღებული სესხები	24,571	-	(3,506)	626	1,890	(423)	(594)	22,564
სულ ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ვალდებულებები	24,571	-	(3,506)	626	1,890	(423)	(594)	22,564

2023 წელს კომპანიამ მოგება/ზარალის ანგარიშგებაში 423 ლარის (31 დეკემბერი 2022: ნული; 1 იანვარი 2022: ნული) შემოსავალი აღიარა მშობელი საწარმოსგან მიღებული სესხის პატიების შედეგად.

ცვლილებები ფინანსური საქმიანობით გამოწვეულ ვალდებულებებში 2022 წლის განმავლობაში:

	1 იანვარი, 2022 წ.	ფულადი სახსრების შემოდინება	ფულადი ნაკადების გადინება	სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკა	დარიცხული პროცენტის ცვლილება	სხვა ცვლილებები	31 დეკემბერი, 2022 წ.
მიღებული სესხები	28,880	407	(3,243)	(5,165)	1,505	2,187	24,571
სულ ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ვალდებულებები	28,880	407	(3,243)	(5,165)	1,505	2,187	24,571

ცვლილებები ფინანსური საქმიანობით გამოწვეულ ვალდებულებებში 2021 წლის განმავლობაში:

	1 იანვარი, 2021 წ.	ფულადი სახსრების შემოდინება	ფულადი ნაკადების გადინება	სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკა	დარიცხული პროცენტის ცვლილება	სხვა ცვლილებები	31 დეკემბერი, 2021 წ.
მიღებული სესხები	32,155	-	(2,210)	(4,153)	1,874	1,214	28,880
სულ ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ვალდებულებები	32,155	-	(2,210)	(4,153)	1,874	1,214	28,880

*(ათას ლარში)***8. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)****ფინანსური ინსტრუმენტების მიმოხილვა (გაგრძელება)****საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაქტის ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიადგება. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიას არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, გარდა შემდეგისა:

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში, საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული ვადიანი დეპოზიტები და გაცემული სესხები.

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში და საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული ვადიანი დეპოზიტები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 37 ლარის ნაღდი ფულის ნაშთი (31 დეკემბერი 2022: 5 ლარი; 1 იანვარი 2022: 238) იყო განთავსებული ადგილობრივ კომერციულ ბანკებში, რომლებსაც მინიჭებული აქვთ “Ba2” (LC)

რეიტინგი Moody's-სგან და "BB" Fitch Ratings-ისგან. კომპანიის ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მოთხოვნისთანავე არის ხელმისაწვდომი. ნული ლარის ვადიანი ანაზრები (31 დეკემბერი 2022: 52; 1 იანვარი 2022: 63) საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული იყო ადგილობრივ კომერციულ ბანკებში, რომლებსაც მინიჭებული აქვთ “Ba2” (LC)

რეიტინგი Moody's-სგან და "BB-" Fitch Ratings-ისგან. ბანკებში კომპანიის მიერ განთავსებული ფულადი სახსრებისა და სხვა ანაზრების საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა.

გაცემული სესხები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაცემული სესხები მოიცავდა დაკავშირებული კომპანიებისათვის გაცემულ 318 ლარის სესხს, აქვს 12%-იანი წლიური განაკვეთი და დაფარვის ვადა – 2025 წლის ივნისამდე.

2023 წელს კომპანიამ მოგება/ზარალის ანგარიშგებაში 1,409 ლარის (2022 წ.: ნული) ხარჯი აღიარა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსთვის გაცემული სესხის პატიების შედეგად.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაცემული სესხები მოიცავდა დაკავშირებული კომპანიისთვის გაცემულ 1,361 ლარის სესხს (1 იანვარი 2022: 0), რომელიც გამოხატულია ლარში, აქვს 12%-იანი წლიური განაკვეთი და დაფარვის ვადა – 2023 წლის მაისამდე.

გაცემულ სესხებზე მიღებულმა საპროცენტო შემოსავალმა 66 ლარი შეადგინა (2022 წ.: 111 ლარი).

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ შეიძლება ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. კომპანიის ლიკვიდურობის რისკს აანალიზებს და მართავს კომპანიის და მისი მშობელი საწარმოს ხელმძღვანელობა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული გადახდების მიხედვით:

(ათას ლარში)

8. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)***ფინანსური ვალდებულებები
2023 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით*

	<i>3 თვეზე ნაკლები</i>	<i>3-დან 12 თვემდე</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
მიღებული სესხები	354	1,901	3,392	4,979	10,800
სულ	598	652	4,572	4,979	10,800

*ფინანსური ვალდებულებები
2022 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით*

	<i>3 თვეზე ნაკლები</i>	<i>3-დან 12 თვემდე</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
მიღებული სესხები	575	997	4,286	5,657	11,515
სულ	575	997	4,286	5,657	11,515

*ფინანსური ვალდებულებები
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით*

	<i>3 თვეზე ნაკლები</i>	<i>3-დან 12 თვემდე</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
მიღებული სესხები	354	1,901	3,392	5,084	10,732
სულ	354	1,901	3,392	5,084	10,732

ლიკვიდურობის რისკის მართვისას კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია შეძლებს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვას, ოპერაციებიდან მიღებული ფულადი სახსრების გამოყენებით, ვადამოსული ვალდებულებების რეფინანსირებით ან რესტრუქტურისაციით და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ვალის აღებით.

9. საკუთარი კაპიტალი

2023 წლის განმავლობაში, მშობელმა საწარმომ 2,999 (31 დეკემბერი 2022: 3,561; 1 იანვარი 2022: 3,186) ლარის ფულადი შენატანი განახორციელა კომპანიაში საწესდებო კაპიტალის გაზრდის სანაცვლოდ.

2023 წლის განმავლობაში, კომპანიამ 990 (31 დეკემბერი 2022: 2,200; 1 იანვარი 2022: 180) ლარის ფულადი შენატანი განახორციელა მშობელი საწარმოს მიმართ საწესდებო კაპიტალის შემცირების სანაცვლოდ.

დივიდენდები

2023 და 2022 წლებში დივიდენდები არ გამოცხადებულა და არ გადახდილა.

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმართ არ არსებობდა კაპიტალთან დაკავშირებული რამე გარეშე მოთხოვნა.

(ათას ლარში)

10. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის თებერვალში, მშობელმა საწარმომ 410 ლარის ფულადი შენატანი განახორციელა კომპანიაში საწესდებო კაპიტალის გაზრდის სანაცვლოდ.

2024 წლის აპრილში, კომპანიამ 10 ლარის ფულადი შენატანი განახორციელა მშობელი საწარმოს მიმართ საწესდებო კაპიტალის შემცირების სანაცვლოდ.